საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაცია

პროგრამის ხელმძღვანელი:

კახა ხიმშიაშვილი
თსსა ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე

2023 წლის 1 სექტემბერს, ოქმი №32

ფართო სფერო (მიმართულება): 07. ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა.

Engineering, Manufacturing and Construction

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე

Engineering and Engineering Trades

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0739 არქიტექტურა და მშენებლობა – არაკლასიფიცირებული

0739.1.1 არქიტექტურის რესტავრაცია Architectural Restoration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბაკალავრი არქიტექტურის რესტავრაციაში

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)

სწავლების ხანგრძლივობა _ 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები:

- საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს არქიტექტურ-რესტავრატორი, რომელსაც ექნება რესტავრაცია-კონსერვაციის თეორიის, სამეცნიერო პრინციპების, კანონმდებლობის (ქარტიები და კონვენციები), რესტავრაცია-კონსერვაციის სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის საკითხების ცოდნა;
- ასევე, ეცოდინება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მენეჯმენტის საფუძვლები და რესტავრაციასთან დაკავშირებული სამშენებლო, საინჟინრო საკითხები და ამ ცოდნის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კონსტრუქციებს, სარესტავრაციო მასალებს, სარესტავრაციო-საკონსერვაციო მეთოდოლოგიას და წინასწაგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეადგენს არქიტექტურული ძეგლის სარესტავრაციო პროექტს, რესტავრაცია /კონსერვაციის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და ეთიკის ნორმების დაცვით.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობები:

პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე თსსა-ში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ კანონმდებლობით დადგენილი

წესების შესაბამისად (მიღების პროცედურა გაწერილია თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. მუხლი 7).

სწავლების ხანგრძლივობა _ 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა. (თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 15, პუნქტი 15.3)

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს **240 ECTS** და მისი სტრუქტურა ამდაგვარია:

1. **საბაზისო დისციპლინები - 38 ECTS**
2. **სპეციალობის დისციპლინები - 120 ECTS**

   ზოგადი პროფესიული დისციპლინები - 20 ECTS

   პროფესიული დისციპლინები - 28 ECTS

   არიქტექტურის რესტავრაციის პროფესიული დისციპლინები - 72 ECTS
3. **თეორიული დისციპლინები - 52 ECTS**
4. **არჩევითი საგნები - 20 ECTS**
5. **საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS**